დროება

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 176. კვირა, 9 აგვისტო 1909 წ. დამატების № 31.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უეცარი ტალღა.

დრამა ოთხ მოქმედებად.

მომქმედნი პირნი:

არჩილ	35 წლისა.
ექვთიმე	ბერ-იღუმენი, 65 წლისა, არჩილის ბიძა.
გრიგოლ	ბერი, 40 წლისა.
სვიმონ	50 წლისა, მაგრამ ჭაბუკურ სიყოჩაღისა და სიმამაცის გამომხატველი.
შალვა	26 წ. სტუდენტი.
ლელა	სვიმონის შვილები 23 წლისა
ტიტო	13 წლისა.
ღვთისო	სვიმონის ძმა, 35 წლისა.
ალექსი	მორჩილი, 25 წლისა.
მიხეილ დვალიძე	ვაჭარი, 55 წლისა.

ბერები, უცნობები, გემის მოსამსახურენი და სხვანი.

ვლ. ლოლთქიფანიძე მოწაფეებთან ერთად.

ტფ. სათავად-აზნაურო სკოლის მეოთხე კლასის მოწაფენი 1898 წ.

მოქმედება პირველი.

მოქმედება სწარმოებს შავი ზღვის მახლობლად გაშენებულ ერთ-ერთ მონასტერში. აქეთ-იქიდან შემოკალთულია საამურად ამწვანებულის მთებით, რომლის ერთ მხარეზე ჩაუდის კარგა ფართო ბილიკი. პირდაპირ, შორით მოსჩანს ფართოდ გატყორცნილი ზღვის კიდე, რომლის ზედა პირი უცხო ჰეპელებსავით ლაპლაპ-კამკამებს გამოსამშვიდებლად გამზადებულ ზზის სხივებზე.

მარჯვნივ აშენებულია ერთ-სართულიანი სახლი მრავალის კარებით; ეს ბერების სადგომებია. მარცხენა მხრით უკანიდან მოსჩანს ეკლესიის ერთი კუთხე, წინ კიდევ სამი კიბის სიმაღლეზე მოსჩანს ოთახი, რომლის კარებიც გამოდის მარჯვენა მხრით ეზოში. ოთახში ორი სტოლია წიგნებითა და ქაღალდებით სავსე. იქავე სდგას შკაფი, ისიც წიგნებით გაჭიკნული. სტოლებს ახლო სდგას რამდენიმე სკამი. კედელზე რამდენიმე საუცხოვო სურათია ქართველ და უცხოურ ისტორიულ პირთა. ფანჯრებს მწვანე ფარდებსავით აჰფარებიან ყვავილების გრძელი ნაწნავები. მარცხნივაც მიდის კარები მეორე ოთახში.

ეზოში კლდის ნაპრალზე, რომელიც გადაჰყურებს ზღვას, სდგას გრძელი ფიცრის სკამი.

სკამზე ზის მამა ექვთიმე და გართულია დაბადების კითხვაში. ფარდის ახდის შემდეგ ცოტახანს კიდევ ისმის ზარის რეკვის ხმა მლოცველთა მოსაწოდებლად.

ექვთიმე. (თითს დაადებს სადაც კითხულობდა, მერე ცოტა ხნით ჩაფიქრებული თავს ასწევს მაღლა, თითქოს რაღაცას იგონებსო. შემდეგ ისევ გაერთობა კითხვაში).

ერთ-ერთ კარიდან გამოდის მ. გრიგოლ.

გრიგ. მამაო ექვთიმე, დღეს ვინ არის მლოცველი?

ექვთ. (თავს ასწევს დინჯად). დღეს? — მამა სვიმონი.

გრიგ. მაშ ხვალ დილით მე ვიქნები?

ექვთ. დიაღ. (ტოტახანს მერე ისევ განაგრძობს კითხვას. გრიგოლ ჯდება ექვთიმეს გვერდით. სიჩუმე).

გრიგ. მამაო ექვთიმე! თქვენ როგორღაც გეტყობათ, ძალიან გართულხართ კითხვაში?

ექვთ. ჰოო, დაბადებამ დამიმონა და ვეღარა ვშორდები. (დახურავს და დაიდებს მუხლებზე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრიგ. ეგ მერამდენეთა კითხულობთ განა?

ექვთ. ვინ იცის! როცა კი ვიშოვი ცოტაოდენ თავისუფალ დროს, მაშინვე ამასა ვსწირავ ხოლმე მსხვერპლად.

გრიგ. ეგრეთი მსხვერპლი დაკარგული არ არის.

ექვთ. რა სიხარბით ვეწაფები ხოლმე ამის სიმდიდრეს, ამის სილამაზეს და აქამდის კიდევ ვერ გავმძღარვარ მითი.

გრიგ. ოო! დაუშრეტელია მაგისი სიმდიდრე! დაუმჭკნარია მაგისი სილამაზე!..

ექვთ. ოღონდაც, ოღონდაც, მამაო გრიგოლ!..

შემოდის არჩილ, მხარზე ბარგ-გადადებული და სამუშაო ხალათით.

არჩილ. უჰ, ბიძაჩემო! დღეს რამდენი ვიმუშავე! სწორედ რომ დავიღალე.

ექვთ. მაშ დღევანდელი დღე ბედნიერი ყოფილა შენთვის.

გრიგ. შრომასა და ღვთის დიდებაში გრძნობს კაცი ნეტარებასა და შვებას...

არჩილ. ღვთის დიდებისა კი რა მოგახსენოთ, მაგრამ შრომის ნეტარებით კი ბევრჯერ დავმტკბარვარ მართლა.



რევოლიუცია ესპანიაში.

რევოლიუციის მსხვერპლნი.

ექვთ. შენ თან და თან კარგად შეეჩვიე ჩვენს ცხოვრებას. თუმცა ეხლა წინააღმდეგი ხარ, მაგრამ, თუ ინება ზეციერმა, იქნება იმ დღესაც მოვესწრო, როცა შენ ბერად ეკურთხები.

არჩილ. შენ რომ მაგ დღეს უცადო, უკვდავი შეიქნები, გარწმუნებ!

გრიგ. რატომაც არა, არჩილ! შოთამაც ეგრე არა ჰქნა! ჯერ ხალხს ებაასეთ, მას უკმეთ საკმეველი და მერე ღმერთსა ყოველ შემთხვევაში არც ერთი არ იქნება უნაყოფოდ დაკარგული.

არჩილ. ჩემი ლოცვა-ვედრება ყოველთვის უნაყოფოდ იქნება დაკარგული.

გრიგ. რათა? რათა?

არჩილ. იმიტომ, რომ ის იქნება ამონათქვამი ურწმუნო გულიდან და ურწმუნოთა ლოცვა-ღაღადი კი, მე მგონი, არც ერთს ღმერთს არ ესმოდა.

გრიგ. ჩვენი ღმერთი მოწყალეა და ლმობიერი.

არჩილ. ეჰ, მამაო გრიგოლ! ნუ ვილაპარაკებთ იმაზე, რაც არც თქვენთვის არის სასიამოვნო და არც ჩემთვის იქნება საამური.

გრიგ. რაც მართალია, მართალია, ჩემო არჩილ! ამიტომ უმჯობესი იქნება, მე ეხლა სალოცავად წავიდე. (მადლიანის დიმილით თავს დაუკრავს და მიდის ეკლესიისაკენ).

არჩილ. (გაჭყურებს ბიდიკს). ალექსის გაზეთები მოაქვს. ეს რა ჩქარა მოსულა გემი!

ექვთ. ეხლა შეამჩნიე? ის რა ერთიხანია მოვიდა.

შემოდის ალექსი. ხელში უჭირავს მთელი კონა გაზეთები.

ალექსი. იმდენი გაზეთი მომაქვს, რომ აქ მთელი მილეთის ამბავი უნდა ეწეროს, მგონი.

არჩილ. აი, ყოჩაღ! (ართმევს გაზეთებს. ალექსი გადის. ტოტახანს დაჭყურებს გაზეთს და მერე ამოიკითხავს) „თექვსმეტი ივლისი!“ (მოგონებით) დღეს სრული ორი წელიწადია, რაც მე აქა ვცხოვრობ, ამ უდაბნოში.

ექვთ. როცა შენ წერილებსა მწერდი, მონასტერში უნდა გადმოვსახლდეო, მე ხუმრობა მეგონა და ყურს არ გათხოვებდი. შემდეგ კი, როცა გადმოსახლდი მართლა, მე დარწმუნებული ვიყავ, რომ ორ თვესაც ვერ გასძლებდი, მაგრამ, აი, ორი წელიწადიც კი გავიდა — აქა ხარ.

არჩილ. ბარე ბევრი ორი წელიწადი გავა კიდევ ჩემ აქ ყოფნაში.

ექვთ. რამდენიც გენებოს იყავი, შვილო! ჯერ გინდაც არაფერს არ აკეთებდე, ვის შეუძლიან, დაგაყვედროს ღვთის ლუკმა, მერეა და შენ ყველაზე მეტს ირჯები აქა და მით უმეტეს გულშიაც კი არავის არ შეუძლიან გაივლოს რამე უკმაყოფილება. პირიქით—ყველა ბერი მადლობელია შენი აქ ყოფნით.

არჩ. მეც მადლობელი ვარ მათის ასეთ კეთილ განწყობილებისათვის. (სიჩუმე).

ექვთ. მე მაინც მიკვირს, როგორ შეეჩვიე ესეთ მყუდრო, განმარტოვებულ ცხოვრებას!

არჩ. განა თუ მარტო შევეჩვიე, პირდაპირ შემიყვარდა კიდეც.

ექვთ. იმიტომ შეგიყვარდა, რომ შენი ბუნება სწორედ ბერობისათვის არის განწყობილი, მაგრამ ეგ რწმენა, რწმენა გიშლის ხელსა....

არჩ. არა! იმიტომ შემიყვარდა, რომ ჩემ ადამიანურ სიწმიდავესა და სიფაქიზეს არ ეცხობა ის ჭუჭყი, რომლითაც თავით-ფეხამდის ისე არიან მოსვრილნი „იქ“ მცხოვრებნი. (ხელს იშვერს ხმელეთისაკენ, ძირს). იმიტომ შემიყვარდა, რომ ჩემი სიამაყე არ განიცდის იმ დამცირებას, რომელსაც ყოველ ნაბიჯზე შეხვდება ხოლმე კაცი „იქ“!

ექვთ. მართალია, შვილო არჩილ, მართალი!

არჩ. აქ ჩემი ბუნება, როგორც კი შესაძლოა, თავისუფალია იმ ბორკილებისაგან, რომლებითაც ისეა შებოჭილი „იქ“ მცხოვრებთა ოცნებაც კი, ოცნებაც, არა თუ ნამდვილი ცხოვრება.

ექვთ. ჩვენ შთამომავლობით მოგვდგამს ესეთი მისწრაფება თავისუფლებისა და მყუდროებისაკენ.

არჩ. შეიძლება. (მიდის თავის ოთახში. გაზეთებს დაჰურის მაგიდაზე და შეჩერდება. მერე მიგვა ფანჯარასთან, ჩამოიღებს კედლიდან სკრიპკას და უკრავს წუნარის ხმით. ექვთიმე წამოდგება და შედის ერთ-ერთ კარებში. სიჩუმე).

ერთბაშად, ცქვიტად ამოირბენს ბილიკზე ტიტო.

ტიტო. (იეურება კურდღელივით აქეთ-იქით და, რა ვერავის დაინახავს, გადადგება ნაპირზე და უყვირის სვიმონს). აქ არავინ არის, მამაა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხმაზე გამოდის ალექსი.

ალექ. თქვენ საიდანა ხართ, ყმაწვილო?

ტიტო. ჩვენ აქ მონასტრის დასათვალიერებლად მოვედით.

ბილიკით შემოდიან ხვიმონი, ღვთისო, ლელა და შალვა.

სვიმ. აქა მშვიდობა!

ალექ. გადღეგრძელოთ ღმერთმა!

სვიმ. იღუმენის ნახვა შეიძლება?

ალექ. რატომ. ეხლავე შევატყობინებ. (მიდის, სადაც ექვთიმე შეგიდა)

ღვთისო. რა არის, ღამის გათევის ნება არ მოგვცენ და დღესვე მოგვიხდეს ისევ უკან დაბრუნება!

შალვა. მაშინ სირცხვილი მაგათი, თორემ ჩვენ, როგორც იქნება, შეველევით მაგათ ღამის გათევასაცა და მონასტრის ნახვასაც.

გამოდიან ექვთიმე და ალექსი.

სვიმ. საღამო მშვიდობისათ, მამაო! (ხელზე ეამთხვევა. ეფენდანი თავს უკრავენ.)

ექვთ. მშვიდობა ნუ მოგაკლოთ მამა ზეციერმა!

სვიმ. სტუმრები არა გნებავთ, მამაო? და ისიც ამდენი ერთად?

ექვთ. რატომ, სტუმრები ღვთისაა და ჩვენი კარიც ყოველთვის ღიაა მათთვის.

სვიმონ. მაშ შეიძლება ერთის ღამით დავრჩეთ აქ? მონასტერსაც დავათვალიერებთ, ცოტასაც დავისვენებთ ზღვაზე ჯანჯღალის შემდეგ და ხვალ ისევ გავემგზავრებით შინისკენ.

ექვთ. დიდის სიამოვნებით! დიდის სიამოვნებით! (შეტრიალდება რადიტის ანგარიშით.)

სვიმონ. საჭმელ რამეზე ნუ შესწუხდებით, მამაო, რადგან ჩვენ თვითონ ბლომათა გვაქვს წამოღებული და ჯერ-ჯერობით იქ დავტოვეთ, ქვეით.

ექვთ. სტუმრების სამყოფი აქაც მოგვეპოვება ყოველთვის, იქიდან რომ არ შეწუხებულიყავით. ცოტა ხანს მოითმინეთ, ეხლავე! (მიდის არჩილთან)

ღვთისო. როგორც ეტყობა, ქართულ სტუმართ-მოყვარეობას შევხვდით აქა.

ლელა. რა კეთილი გამომეტყველების სახე აქვს მაგ ბერსა! ალბად, გულიც ისეთი აქვს, როგორც ვამჩნევ.

შალვა. მე კი ეს მიდამო და სურათები უფრო მომწონან, ვიდრე შენი ბერის კეთილი სახე (იყურებიან აქეთ-იქით).

ექვთ. შვილო არჩილ, რა გითხრა!

არჩილ. ბრძანე, ბიძაჩემო!

ექვთ. სტუმრები გვეწვივნენ ერთის ღამით და რაც ცარიელი ოთახები გვქონდა, სულ მლოცავად მოსულ ბერებს უჭირავთ.

არჩილ. აი, ოთახები!

ექვთ. მეც ეგ უნდა მეთხოვა, თუ შეიძლებოდა, აქ დაგვებინავებინა შენთან.

არჩილ. სთხოვე! დიდის სიამოვნებით! ვაიმე, ვაიმე! ოთახს როგორ დავუჭერ!

ექვთ. მაშ მოვიყვანო?

არჩილ. მაშ, მაშ! რასაკვირველია! (ხალათს გაიხდის და ხელად ბიჟაკს ჩაიცვამს. ექვთიმე გადის სტუმრებთან)

ექვთიმე. აი, ბატონებო, მობრძანდით აქ! (ეფენდანი შედიან არჩილთან). ეს ერთი და იქაც მეორე ოთახი! რამდენი ხანიც გენებოთ, იმდენი ხანი ისტუმრეთ!

სვიმონ. დიდათა გმადლობთ, დიდათ!

ექვთ. რადგან სხვა ოთახები არა გვქონდა ცარიელი, ამიტომ აქ მოგათავსეთ. ესეც ჩემი ძმისწულია, აქა სცხოვრობს მუდმივად. შემდეგ თქვენ უკეთესად გაიცნობთ ერთმანეთს და, მე მგონი, ორთავესთვის სასიამოვნო იქნება ეს.

სვიმონ. ვიმედოვნებთ, რომ ეგრე იქნება.

ექვთ. აბა, შვილო არჩილ, შენ იცი, როგორც ჩინებულად გაუმასპინძლდები იშვიათ სტუმრებს.

არჩილ. ეგ მე მომანდე, ბიძაჩემო!

ექვთ. ეხლა კი, ნება მიბოძეთ, მარტო დაგტოვოთ, რადგან თქვენ დასვენება გეჭირვებათ.

სვიმონ. ჩვენ არც ისე დაღალულნი ვართ, მაგრამ როგორც თქვენ გენებოთ!..

ექვთ. როცა დაისვენებთ, მერე მონასტერსაც დავათვალიერებთ. ჯერ კიდევ კაი ხანია დაბნელებამდის.

სვიმონ. ძალიან კეთილი! დიდათა გმადლობთ ასეთ პატივისცემისა და სტუმართ-მოყვარეობისთვის! (ექვთიმე გადის.)

ლელა. (შალიკს) როგორც ეტყობა, კაი სერიოზული კაცი უნდა იყოს ეს არჩილი!

რევოლიუცია ესპანიაში.

რევოლიუციონერები ბარცელონაში, ბუჩაში ჯართან ბრძოლის შემდეგ.

შალვა. ალბად. მაშ რად უნდა ესეთი მშვენიერი ბიბლიოთეკა ამ მიყრუებულ მონასტერში!

ლელა. ახლა სურათებს უყურე! (ორთავენი ათვალიერებენ სურათებს)

ტიტო. მამა, მე ეზოში წავალ, ჰა?

სვიმონ. გაიქე, მხოლოდ შორს კი არსად წახვიდე! (ტიტო გამოდის ეზოში; იქ დაინახავს სკამზე მჯდომარე ალექსის; მიდგა ჯერ ახლოს, მერე მოუჯდება გვერდზე და თავიანთვის იწყებენ დაპარაკს)

ღვთისო. (არჩილს) რადგან შემთხვევამ გვარგუნა ერთად ცხოვრება, თუნდ ერთის დღითაც, ამიტომ უმჯობესია უკეთესად გავეცნოთ ერთი-ერთმანეთს. თუ უკაცრავად არ ვიქნები—თქვენი გვარი?

არჩილ. (ცოტა ჩაიცინებს) სავანელი!

ხვთისო. სავანელი!.. არჩილ სავანელი!..

არჩილ. დიახ! (სხვები გაოცებით უყურებენ)

ღვთისო. არჩილ კაცო, გამარჯობა! ვეღარ მიცანი? (ხელს ართმევს მაგრად)

არჩილ. (ცოტა დაკვირდება. მერე ერთბაშად) ჰაუ, ღვთისო, ღვთისო! (ბეჭებზე გადაჰხვევს მკლავს ხელის ცემით და თან ერთმანეთს ჰკოცნიან)

ჯგუფი ახალგაზრდა ინტელიგენტ სპარსელებისა.

ყველა ესენი წევრნი არიან რევოლიუციონურ კომიტეტებისა. ყველას ხელში მთავარ კომიტეტის გაზეთი „ენჯუმენი“ უჭირავს.

ღვთისო. ღმერთო ჩემო! აქ სადა გხედავ! (მიუბრუნდება სხვებს). იცით, ეს ვინ არის? ჩემი საუკეთესო ამხანაგი გიმნაზიაში და უნივერსიტეტში და...

სვიმონ. არჩილ სავანელ!.. რა ვქნა...

ღვთისო. ჰოო, ის არის, ის, რომელსაც შენ ფიქრობ: ჩვენი ახალგაზრდა სახელოვანი მწერალი და პოეტი...

სვიმ. მაშ გამარჯობათ თქვენი! (მხურვალედ ხელს ართმევს).

შალვა. (აღტაცებით.) თქვენ არჩილ სავანელი ხართ? (ისიც ხელს ართმევს. ლელა სერიოზულათ და გაოცებით უყურებს არჩილს, თითქოს იმის შუბლზე უნდა ამოიკითხოს მისი უცნაურობა).

ღვთისო. ეს ჩემი უფროსი ძმაა, სვიმონ. ესენიც ძმისწულები არიან. ლელა! ლელავ! რატომ შენ კი არ ართმევ ხელსა?

სვიმონ. ლელა ისეა გაკვირვებული ამ უცნაურობით, რომ ხელის ჩამორთმევა არც კი მოჰგონებია.

ლელა. (ხელს ართმევს) მე მგონი, ყველასთვის არის საკვირველი ეს, არა თუ მარტო ჩემთვის.

ღვთისო. მაინცა და მაინც, მე და ჩემმა ღმერთმა, სად არჩილ სავანელი, ეს თავით ფეხამდის პოეტი და მარად მშფოთავი არსება, და სად მონასტერში ცხოვრება!..

შალვა. საიდან სადაო წმინდა საბაო!

არჩილ. თქვენ, ვინ იცის, ფიქრობდით, რომ, როგორც პოეტი, ალბად, ქარაფშუტულად ვატარებდი მთელ სიცოცხლეს ღვინოში, ბანქოში და ბანოვანთა არშიყობაში, არა?

ღვთისო. ყოველ შემთხვევაში ეგ უფრო ადვილი საფიქრელი იყო ჩემთვის, ვიდრე შენი მონასტერში ცხოვრება.

სვიმ. (ხუმრობით) ბატონო არჩილ! ბერობისათვის ხომ არ ემზადებით?

არჩილ. არა.

ღვთისო. ამ უდაბნოში ბერი იქნება კაცი, მარა იქნება! უეჭველად უნდა ანაფორა ეცვას?

შალვა. (ღვთისოს) განა შენ არ იცოდი აქამდის, რომ აქ იყო?

ღვთისო. რა ვიცოდი! სწავლა დავამთავრეთ თუ არა, ეს ალარ მინახავს. მას უკან აგერ ათი წელიწადიც იქნება. ეს ხუთი წელიწადია, ლიტერატურაში მესმის მაგისი სახელი და ვუყურებ, როგორ იზრდება ღლითი-ღლე. მაგრამ სად იყო თვითონ ამ სახელის მატარებელი, ცაში თუ ქვესკნელში, ამისი კი არა ვიცოდი რა.

არჩილ. თქვენ ეს მითხარით, პური ხომ არა გშიათ, ეხლავე სამოვარი დავდგათ, ჰა?

სვიმ. არა. რა გეჩქარებათ!

ღთვისო. რა დროს ჩაია! ჩემთვის ათასჯერ უფრო საინტერესოა გავიგო, აქ საიდან გაჩნდი? როგორ? რამ დაგაინტერესა? ან რამ გაიძულა აქ გადმოსახლება?

შემოდის ტიტო.

ტიტო. მამა! უნდა მონასტრის ბაღში წავიდე.

სვიმ. როგორ იქნება, გაგიჯავრდებიან!

ტიტო. არა, თვითონ ბერიც მოდის.

სვიმ. მაშ გაიქე, მხოლოდ ჩქარა კი დაბრუნდი! (ტიტო გადის. ისა და ალექსი მიდიან მარჯვნივ).

ღვთისო. (არჩილს) ჰა, კაცო! სთქვი ერთი რამე, რას გაჩუმებულხარ?

ივიმ. რამდენი ხანია აქა ხართ?

არჩილ. დღეს სრული ორი წელიწადი გახდა.

ღვთისო. ორი წელიწადი რა გაძლებინებს, კაცო, აქა?

არჩილ. ის მაძლებინებს, რომ აქ უფრო ყველაზე თამამათა და თავისუფლათა ვსუნთქავ, ვიდრე სხვაგან სადმე.

ღვთისო. კულტურულად აღზრდილ კაცისთვის და ისიც მწერლისთვის, პოეტისთვის განა თუ მარტო საჭიროა, პირდაპირ აუცილებელიც არის მუდამ ჟამს ცხოვრების სიღრმეში, იმის გულში ტრიალებდეს და იქიდან აწვდიდეს ხალხს ახალ-ახალ თაიგულს, ახალ-ახალ ნობათს...

შალვა. მე მგონი, ღვთისო მართალს ამბობს. თქვენთვის, როგორც მწერლისთვის, აუცილებლად საჭიროა, მუდამ ბეჯითად ადევნოთ თვალყური ცხოვრების მაჯის ცემას, უმისოდ თქვენ ჩამორჩებით მას და თქვენ შრომასაც, რაც გინდა ნიჭით იყოს ის შემკობილი, მაინც დაეკარგება სინამდვილის ხასიათი.

(შემდეგი იქნება).

ლევან მეტრეველი.

აბაშეთის (აბისინიის) მეფე მენელიკ II.

75 წლისაა. ამას წინად ძალიან ავად გახდა. მისმა ცოლმა, დედოფალმა ტაიტუმ ექიმი არ მიუშვა ავადმყოფთან. ამან მეფის მომხრენი გააბრაზა, რასაც შედეგად მოჰყვა ბრძოლა მეფისა და დედოფლის მომხრეთა შორის. ბრძოლის დროს დაიღუპა 150 კაცი. ბოლოს დედოფალი იძულებული გახდა, ეჩვენებინა ავადმყოფი ექიმისთვის.

რედაქტორ-გამომცემელი ი. ს. აგლაძე ელექტრო-მბეჭდავი მ. დ. კიკნაძისა, ტფილისი, ელისაბედის ქ., № 17.